Flex-ის პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ

მე-12 კლასის მოსწავლეებმა, რომლებიც მონაწილეობენ Flex-ის პროგრამაში და სურთ ქართული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღება, უნდა გაითვალისწინონ, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი და საფასურები. კერძოდ, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება მოიცავს უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების ან სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებას. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას ახდენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (მისამართი ალექსიძის N1).

განათლების აღიარების მიზნით, დაინტერესებული პირი, ამ პირის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი ან სხვა დაინტერესებული პირი, ცენტრში წარადგენს განცხადებას. განცხადება და თანდართული დოკუმენტები ცენტრს შესაძლებელია წარედგინოს ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით, ქართულ ან ცენტრის მიერ დადგენილ უცხო ენაზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) შესაბამისი საგანმანათლებლო დოკუმენტი ან მისი ასლი;
ბ) განმცხადებელი ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში – უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისათვის საფასური განისაზღვრება 30 ლარით).

უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარდგენის დამადასტურებელი ცნობის საფუძველზე, ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობას. სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წარდგენილ განცხადებას თან ერთვის ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის ასლები (არსებობის შემთხვევაში).

იმ პირების განათლების აღიარების მიზნით, რომლებიც ვერ ახერხებენ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების დადასტურებას, ცენტრი ატარებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებას და შედეგებს აცნობებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც გააგრძელა პირმა სწავლა. თუ ამ წარმოების შედეგად ვერ დადასტურდა პირის მიერ საქართველოში ან უცხოეთში სწავლის პერიოდში ზოგადი განათლების მიღების ფაქტი, პირი უფლებამოსილია საგნები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დაინტერესებული პირის ან ცენტრის მიმართვიდან 10 დღის ვადაში, ცენტრის მიერ შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციების საფუძველზე, ადგენს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ან ცენტრის მიმართვაში მითითებული საგნების

შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან და შეიმუშავებს დასკვნას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის შესახებ. დასკვნაში მიეთითება პირის მიერ საქართველოში ან უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგნები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს და ამ საგნებში მიღებული შეფასებების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები. ამ დასკვნის გათვალისწინებით ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის მიღების მომენტში ცენტრში შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ან/და საგანმანათლებლო დოკუმენტის გამცემი დაწესებულების მიერ დადასტურებული არ არის უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა, გამოიცემა პირობითი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება ბათილია გამოცემის მომენტიდან, თუ არ დადასტურდება უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა.
პირი უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან ექსტერნატის ფორმით. ექსტერნატის ფორმით საგნების დაძლევის შემთხვევაში პირი კარგავს ოქროსა და ვერცხლის მედლების მიღების შესაძლებლობას.
მე-12 კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების აღიარებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან ექსტერნატის ფორმით საგნების დაძლევის შემთხვევაში, პირს მე-12 კლასი ჩაეთვლება დაძლეულად.

მე-12 კლასის დაძლევა და სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარება პირს აძლევს უფლებას მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში და ჩაირიცხოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პირს რომელსაც სურს მე-12 კლასის დასრულების წელსვე მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა, ვალდებულია განათლების აღიარებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ან ექსტერნატის ფორმით მე-12 კლასის საგნების დაძლევის პროცედურები განახორციელოს შესაბამისი წლის 20 მაისამდე.